

შპს „ავანგარდი“

ს/კ 443870599

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარძეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის
გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლოატაცია

სკრინინგის ანგარიში

მომზადებულია

ეკოპროექტი

გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

თბილისი, 2024 წელი

სარჩევი

1.	შესავალი.....	4
2.	პროექტის აღწერა	5
2.1	საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა.....	5
2.2	საწარმოს შემადგენელი ტექნოლოგიური ელემენტებისა და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	14
2.3	დაგეგმილი საწარმოს წარმადობა.....	17
2.4	წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხები	18
2.4.1	საწარმოს მომარაგება ტექნიკური წყლით	18
2.4.2	საწარმოს მომარაგება სასმელ-სამეურნეო წყლით	19
2.4.3	საწარმოო ჩამდინარე წყლები.....	19
2.4.4	სალექარ ორმოში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხი	20
2.4.5	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები	23
2.4.6	სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი.....	23
2.5	საწარმოს მიერ გამოყენებული ნედლეული და ბუნებრივი რესურსები	23
2.6	საწარმოს მომარაგება საწვავით	24
2.7	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა	24
2.8	საწარმოსთან მისასვლელი გზები.....	25
2.9	საწარმოს მიერ გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი, სატრანსპორტო რეისების რაოდენობა.....	25
3.	საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა	28
3.1	დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელით დაცული საიტები.....	28
3.2	არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	31
3.3	ტყის ფონდის მიწები.....	31
3.4	ბიოლოგიური გარემოს აღწერა.....	33
3.4.1	მცენარეული საფარი.....	33
3.4.2	ცხოველთა სამყარო	34
3.5	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა	34
4.	პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეულ კომპონენტზე	35
4.1	ზემოქმედების შეფასება დაცულ ტერიტორიებზე და ზურმუხტის ქსელით დაცულ საიტებზე..	35
4.2	ზემოქმედების შეფასება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	35
4.3	ზემოქმედების შეფასება ტყის ფონდის მიწებზე	35
4.4	ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე.....	35
4.4.1	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე.....	35

4.4.2	ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე	35
4.5	გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის საკითხები	36
4.5.1	ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება.....	36
4.5.2	გრუნტის/ფუჭი ქანების წარმოქმნა და ზემოქმედების შეფასება.....	36
4.6	ნარჩენების მართვის საკითხები	37
4.6.1	ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა.....	37
4.6.2	ნარჩენების მართვის გეგმა	38
4.6.3	სეპარირების მეთოდის აღწერა	39
4.6.4	სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები	41
4.7	ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება	42
4.7.1	ხმაურის გავრცელების მოდელირება.....	46
4.8	ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ზემოქმედების შეფასება.....	48
4.9	ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე.....	48
5.	დანართები	49
5.1	დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან	49
5.2	დანართი 2 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	50
5.3	დანართი 3 - ლიცენზიის ასლი	52

1. შესავალი

შპს „ავანგარდს“ (ს/კ 443870599) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარძელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმო და გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი ქვისა-ხრეშის გადამამუშავებას.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: 55.14.53.000.125.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეორე დანართის, მეხუთე პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტის (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება) შესაბამისად წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, მომზადებული იქნა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის მომამზადებელი კომპანიების შესახებ მოცემულია ცხრილში #1.1.

ცხრილი #1.1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ავანგარდს“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქუჩა, N16, ბინა 22
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	443870599
კომპანიის ხელმძღვანელი	ემზარ ასპანიძე
დაგეგმილი საქმიანობის დასახელება	სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარძელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია
გზშ ანგარიშის მომამზადებელი კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ: 593 044 044; 577 380 113; ვებგვერდი: https://ecometer.org.ge/ ელ. ფოსტა: info@ecometer.org.ge ; tikozhizhivili@gmail.com

2. პროექტის აღწერა

2.1 საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ავანგარდი“ (ს/კ 443870599) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებას.

მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწას, საერთო ფართობით 10 601 კვ.მ. აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან უშუალოდ საწარმოო დანადგარების და დამხმარე ინფრასტრუქტურული ელემენტების მოწყობა დაგეგმილია დაახლოებით 3 800 კვ.მ ფართობზე. ხოლო, სალექარებისა და წყლის სამარაგო ავზისთვის გათვალისწინებულია 845 კვ.მ ფართობი.

საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 55.14.53.000.125. აღნიშნული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული განთავსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილებში.

ცხრილი 2.1.1 - საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები

N	x	y	ფართობი (მ ²)
1	518682.8531	4616727.009	10 601
2	518702.7499	4616755.796	
3	518725.6099	4616763.839	
4	518838.4283	4616675.150	
5	518797.2471	4616703.452	
6	518832.2901	4616629.219	
7	518818.1083	4616600.009	

ცხრილი 2.1.2 - საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები

N	X	Y	ფართობი (მ ²)
1	518734.7203	4616732.741	3 800
2	518711.9661	4616705.489	
3	518716.9932	4616710.516	
4	518808.5942	4616670.851	
5	518786.3170	4616635.547	

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი საკადასტრო კოდით: 81.12.21.327 დაშორებულია 2 400 მეტრი მანძილით. ამასთან, საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 115 მეტრში მდებარეობს სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 55.14.53.000.074, რომელზედაც განთავსებულია სამეურნეო ნაგებობა.

მდ. იორი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 80 მეტრი მანძილით.

უახლოესი დაცული ტერიტორია მარიაძევის ნაკრძალი მდებარეობს - 12 კილომეტრში. უახლოესი ტყის ფონდის მიწა - 705 მეტრში, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელი გომბორი 7 კილომეტრში.

ამასთან, უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ღვთისმშობლის ეკლესია (#7281) დაშორებულია 5 კმ-ზე მეტი მანძილით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორიას გარს ერტყმის ქარსაფარი ზოლი, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს საწარმოს ტერიტორიიდან ხმაურის და მტვრის ემისიების გავრცელებას დასახლებული პუნქტების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმართულებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია შემდეგი იფრასტრუქტურული ობიექტებით:

- ✓ ქვიშა-ხრემის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარი შესაბამისი ტექნოლოგიური ელემენტებით;
- ✓ საწვავის გამართვის უბანი;
- ✓ წყლის სამარაგო ავზი;
- ✓ ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყლის სალექარი

ამასთან, სამომავლოდ დაგეგმილია მობილური საოფისე კონტეინერის მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიაზე წყლის სამარაგო ავზის განთავსების GPS კოორდინატებია:

N	X	Y	ფართობი (მ ²)
1	518737.9353	4616626.49	350
2	518828.6696	4616673.862	
3	518833.893	4616670.563	
4	518805.9154	4616620.649	
5	518804.9671	4616621.198	
6	518801.0571	4616624.036	
7	518829.8911	4616672.985	
8	518801.793	4616623.502	
9	518832.2764	4616671.542	


საწვავის გამართვის უბანი მოწყობილია შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

N	X	Y	ფართობი (მ ²)
1	518686	4616728	6
2	518688	4616727	
3	518690	4616729	
4	518688	4616730	

ხოლო, ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი წყლის ორსაფეხურიანი სალექარის მოწყობა მიმდინარეობს შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

N	X	Y	ფართობი (მ ²)/ მოცულობა მ ³
1	518758	4616727	495 მ ² / 1 410მ ³
2	518761	4616731	
3	518836	4616675	
4	518834	4616671	
5	518795	4616698	
6	518788	4616703	
7	518792	4616706	
8	518797	4616703	
9	518830	4616673	
10	518835	4616673	
11	518799	4616702	
12	518790	4616702	
13	518760	4616730	
14	518794	4616699	

სიტუაციური გეგმა




სურ. 2.1.3 - საწარმოს განთავსების სიტუაციური რუკა

სიტუაციური გეგმა




სურ. 2.1.4 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან საცხოვრებელი სახლის დაშორების მითითებით




სურ. 2.1.5 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან სამეურნეო ნაგებობის დაშორების მითითებით

სიტუაციური გეგმა



სურ. 2.1.6 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან დაცული ტერიტორიის დაშორების მითითებით

სიტუაციური გეგმა



სურ. 2.1.7 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან ზურმუხტის ქსელის დამორების მითითებით



სურ. 2.1.8 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან მდ. იორის დაშორების მითითებით

2.2 საწარმოს შემადგენელი ტექნოლოგიური ელემენტებისა და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიას ამ ეტაპზე დაწყებული აქვს სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა, რომლის შემადგენლობაშიც შევა შემდეგი ტექნოლოგიური ელემენტები:

1. ორი ცალი მიმღები ბუნკერი;
2. 4 ცალი კონუსური სამსხვრევი (KCD - 1200; KMD - 1200; KCD - 1750; KMD - 2200);
3. სამი ცალი სამშრიანი ვიბრაციული საცერი (GIL – 240);
4. ქვიშის სარეცხი (GIL - 52-3);
5. ტრანსპორტიორები;
6. მართვის პულტის ჯიხური.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, საწარმოში ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ავტოთვითმცლელებით, კომპანიის სარგებლობაში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან, რომელიც მდებარეობს მდ. იორზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიას, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან მიღებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია #10002711; 18.02.2022.

აღნიშნული ლიცენზიით გათვალისწინებული კარიერი წარმოდგენილია 2 სხვადასხვა უბნად. მათგან პირველი უბანი მდებარეობს მდინარე იორზე და ესაზღვრება საწარმოს ტერიტორიას, ხოლო მეორე უბანი ასევე მდებარეობს მდ. იორზე და საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 3 კმ მანძილით. ორივე ლიცენზირებული ტერიტორიიდან საწარმომდე არსებობს გრუნტიანი მისასვლელი გზა, რომელიც არ გადის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს.

ლიცენზირებული ტერიტორიის უბნებიდან საწარმოში შემოტანილი ნედლეული პირდაპირ ჩაიყრება საწარმოს 2 სხვადასხვა მიმღებ ბუნკერში სპეციალური პანდუსის მეშვეობით.


პირველ მიმღებ ბუნკერში ჩაყრილი მასალა საცერის გავლის შემდეგ მოხვდება კონუსურ სამსხვრევში, სადაც მოხდება მისი მსხვრევა სველი მეთოდით. სამსხვრევიდან ნედლეულის ორი სხვადასხვა ფრაქცია ტრანსპორტიორების მეშვეობით გადადის ნედლეულის განთავსების ტერიტორიაზე.

რაც შეეხება საწარმოს მეორე მიმღებ ბუნკერს, მიმღებ ბუნკერში ნედლეული ჩაყრის შემდეგ გადადის საცერზე და საცერზე დახარისხებული ნედლეული შესაბამისი ტრანსპორტიორების მეშვეობით გადის სამჯერად სველი მეთოდით მსხვევას კონუსურ სამსხვრევებზე.

მესამე კონუსური სამსხვრევიდან (KMD1200) გამოსული ნედლეული სხვადასხვა ფრაქციების მიხედვით, ტრანსპორტიორების მეშვეობით გადადის ნედლეულის მიმღებ მოედნებზე. წარმოების პროცესი წარიმართება ავტომატური მართვის პანელით.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში ნედლეულის გადამუშავება გათვალისწინებულია სველი მეთოდით. საწარმოსთვის საჭირო წყლის რაოდენობის აღება დაგეგმილია მდ. იორიდან, რომელიც შეგროვდება

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ წყლის სამარაგო ავზში. ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი მოცემულია საწარმოს გენ. გეგმაზე.



სურ. 2.2.1 - საწარმოს გენ. გეგმა

2.3 დაგეგმილი საწარმოს წარმადობა

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში დაგეგმილია კომპანიის სარგებლობაში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან სანედლეულე ინერტული მასალის შემოტანა და მისი გადამუშავება. საწარმოს მიერ გამოშვებული იქნება ქვიშისა და ღორღის 6 სხვადასხვა ფრაქცია.

საწარმოს მიერ წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა იქნება 432 000მ³ სხვადასხვა ფრაქციის მქონე ქვიშა-ღორღი. საიდანაც დაახლოებით 70% იქნება ღორღი, ხოლო 30% ქვიშა.

სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით (დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკი), დაგეგმილია საათში 200 მ³, ხოლო დღიურად 1 600 მ³ პროდუქციის წარმოება.

აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო იქნება დაახლოებით 480 000 მ³ ნედლეულის (10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით), ინერტული მასალის გადამუშავება.

საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე და მოთხოვნის შესაბამისად მოხდება მისი რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე გამოყენებული იქნება რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

საწარმოდან პროდუქციის გატანა მოხდება ყოველდღიურად და დიდი რაოდენობის დაგროვება და საწარმოს ტერიტორიის გადატვირთვა პროდუქციით მოსალოდნელი არ არის, რადგან რეგიონში მკვეთრად არის გაზრდილი მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე.

2.4 წყალმომარაგებისა და წყალარინების საკითხები

2.4.1 საწარმოს მომარაგება ტექნიკური წყლით

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში ნედლეულის გადამუშავება გათვალისწინებულია სველი მეთოდით. საწარმოსთვის საჭირო წყლის რაოდენობის აღება დაგეგმილია მდ. იორიდან, რომელიც შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ წყლის სამარაგო ავზში.

წარმოების პროცესში საწარმო საათში მოიხმარს დაახლოებით 60 მ³ წყალს, რაც დღის განმავლობაში შეადგენს 480მ³-ს, ხოლო წლის განმავლობაში მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობა იქნება 144 000 მ³.

აღებული წყლის შესაგროვებელი ავზის პარამეტრებია: სიგრძე - 57 მ; სიგანე 6 მეტრი, სიღრმე 3 მეტრი, ხოლო ჯამური მოცულობა იქნება 1 026მ³. წყლის სამარაგო ავზი განთავსებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

ცხრილი 2.4.1.1 - მდინარიდან აღებული წყლის სამარაგო რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატები

N	X	Y	ფართობი (მ ²)/მოცულობა მ ³
1	518737.9353	4616626.490	342 მ ² ; 1 026მ ³
2	518828.6696	4616673.862	
3	518833.8930	4616670.563	
4	518805.9154	4616620.649	
5	518804.9671	4616621.198	
6	518801.0571	4616624.036	
7	518829.8911	4616672.985	
8	518801.793	4616623.502	
9	518832.2764	4616671.542	

აღსანიშნავია, რომ მდ. იორი მდებარეობს საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ. მდინარიდან წყლის აღება განხორციელდება 60მ³ წარმადობის მქონე ტუმბოთი. მდინარიდან, წყალაღების წერტილის GPS კოორდინატია:

ცხრილი 2.4.1.2 - მდინარიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი

N	X	Y
1	518738	4616626

წყლის სამარაგო რეზერვუარში შეგროვებული წყლის მიწოდება საწარმოსთვის განხორციელდება 60 მ³/სთ წარმადობის მქონე ტუმბოს მეშვეობით.

აქვე, აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ წყლის სამარაგო ავზის წყალი საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება 30 მ³ /წელ.

2.4.2 საწარმოს მომარაგება სასმელ-სამეურნეო წყლით

საწარმოში გარდა ტექნიკური წყლისა საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების საკითხის გადაწყვეტა. ამისათვის, კომპანიას, როგორც საწარმოს მოწყობის ისე ექსპლოატაციის ეტაპზე გათვალისწინებული აქვს სასმელი წყლის შემოტანა ბოთლის სახით, ხოლო სამეურნეო მიზნებისთვის წყლის შემოტანა განხორციელდება ავზების სახით, რომლის მოწოდებასაც განხორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვის ცენტრი.

2.4.3 საწარმოო ჩამდინარე წყლები

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოების პროცესში საჭირო იქნება ტექნიკური წყლის გამოყენება, რომლის აღებაც განხორციელდება მდინარე იორიდან. წარმოების პროცესში წარმოქმნილი, გამოყენებული წყლის შესაგროვებლად ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სალექარი, სადაც მოხდება საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის ჩაშვება.

დაგეგმილი სალექარის პარამეტრები იქნება: სიგრძე - 94 მეტრი; სიგანე - 5 მეტრი; სიღრმე - 3 მეტრი, ჯამური მოცულობით 1 410 მ³. აღნიშნული სალექარი გაყოფილი იქნება შუაზე ჩამკეტი ფართით ორ საფეხურად. თითოეული საფეხურის მოცულობა იქნება 705მ³.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო მიზნებისთვის დღის განმავლობაში საჭიროა 480 მ³ წყლის გამოყენება. წარმოების პროცესში ადგილი ექნება წყლის დანაკარგს, რომელიც გაყვება გარეცხილ, გადამუშავებულ პროდუქციას. წყლის დანაკარგის სავარაუდო რაოდენობა იქნება გამოყენებული რაოდენობის დაახლოებით 20% ანუ დღის განმავლობაში გამოყენებული 480მ³ წყლიდან სალექარში ჩაშვებული იქნება დაახლოებით 384 მ³ წყალი. როგორც უკვე აღინიშნა სალექარი გაყოფილი იქნება შუაზე ორ საფეხურად ჩამკეტი ფართით. სალექარის ორივე საფეხურის გავლის შემდეგ წყალი გადავა წყლის სამარაგო ავზში და დაბრუნდება საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში.

აღნიშნული ტექნოლოგიური სქემის გათვალისწინებით, მდინარე იორიდან თავდაპირველად, წყლის სამარაგო ავზის შესავსებად აღებული იქნება 480 მ³ წყალი, ხოლო ყოველდღიურად, წარმოების პროცესში წყლის 20%-იანია დანაკარგის გათვალისწინებით მდინარიდან მოხდება დაახლოებით 100 მ³ წყლის დამატება სამარაგო ავზში.

ამრიგად, საწარმოო წყლების მდინარეში ჩაშვებას ადგილი არ ექნება, რაც მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი ორსაფეხურიანი სალექარის განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.4.3.1, ხოლო, მდინარეში წყალჩაშვების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.4.3.2.

ცხრილი 2.4.3.1 - სალექარის განთავსების GPS კოორდინატები

N	x	y	ფართობი (მ ²)/მოცულობა მ ³
1	518758	4616727	495 მ ² ; 1 410 მ ³
2	518761	4616731	
3	518836	4616675	
4	518834	4616671	
5	518795	4616698	
6	518788	4616703	
7	518792	4616706	
8	518797	4616703	
9	518830	4616673	
10	518835	4616673	
11	518799	4616702	
12	518790	4616702	
13	518760	4616730	
14	518794	4616699	

ცხრილი 2.4.3.2 - მდინარეში წყალჩაშვების GPS კოორდინატები

N	X	Y
1	487034.21	4576139.68

2.4.4 სალექარ ორმოში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხი

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია ორსაფეხურიან სალექარ ორმოში, საიდანაც, დაწრეტვის შემდეგ გადადის წყლის სამარაგო ავზში, ტექნოლოგიურ პროცესში დაბრუნების მიზნით. თუმცა, სალექარ ორმოში წყლის დაწრეტვის პროცესს თან ახლავს ლამის წარმოქმნა. მისი ამოღება ორმოების გაწმენდის მიზნით მოხდება სხვადასხვა პერიოდულობით. ამოღებული ლამი დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზევე, ლამის დასაწყობების ღია უბანზე და დაგროვებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, ძირითადად რეგიონში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის მოხდება მისი რეალიზაცია.

საღებარის გაწმენდის პერიოდულობა და საღებარში წარმოქმნილი ლამის რაოდენობა დამოკიდებულია საწარმოში შემოსული პროდუქციის ხარისხზე და სხვადასხვაგვარია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი საწარმოო დანადგარი, რომლის მოწყობაც იგეგმება, მაღალი ხარისხისაა, რის გამოც წლის განმავლობაში საღებარში წარმოქმნილი ლამის ჯამური მოცულობა არ აღემატება საწარმოს წლიური წარმადობის 1 %-ს.

აღსანიშნავია, რომ ამოღებულ ლამს არ დასჭირდება გაუწყლოების და შესქელების პროცესი და მისი გამოყენება სხვადასხვა სახის სამშენებლო, ამოვსებით და სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობებში შესაძლებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს გაედინება მდ. იორი „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად წყალდაცვითი ზოლის შეზღუდვა მდინარე იორისთვის შეადგენს 50 მეტრს.

დაგეგმილი საწარმოო დანადგარის განთავსების საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი მდ. იორის კალაპოტიდან დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით. შესაბამისად, მდინარის წყალდაცვითი ზოლის შეზღუდვა საპროექტო ტერიტორიაზე არ ვრცელდება.



სურ. 2.4.4.1 - სიტუაციური რუკა მდინარიდან წყალადების წერტილის მითითებით

2.4.5 სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები

საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია ტუალეტის მოწყობა საასენიზაციო ორმოზე. დაგეგმილი საასენიზაციო ორმოს პარამეტრები იქნება: სიგრძე - 2 მ; სიგანე 2 მ; სიღრმე - 3 მ, ჯამური მოცულობით 12მ³. საასენიზაციო ორმოს დაცლა მოხდება შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ საასენიზაციო მანქანით პერიოდულად, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2.4.6 სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი

საწარმოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების წარმოქმნა. უშუალოდ საწარმოო დანადგარების და ნედლეულის განთავსების უბნებზე წარმოქმნილი წყლები მოხრეშილი ზედაპირიდან პირდაპირ ჩაედინება ნიადაგში, რადგან მისი მავნე ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროება არ არის, ვინაიდან აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს მდინარის ბალასტს.

ხოლო, რაც შეეხება საწვავგასამართი უბნის ტერიტორიას, საწვავის ავზი მოწყობილია მობილური ტიპის დახურულ ჯიხურში, ხოლო საწვავ გასამართი სვეტის ტერიტორიის ძირი მობეტონდება და გადაიხურება. შესაბამისად, საწვავით სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის სრული პერიმეტრი მოიხრეშება და იმ შემთხვევაში თუ საწვავი მოხვდება მობეტონებული ტერიტორიის გარეთ (რისი ალბათობაც ძალიან დაბალია), დაბინძურებული ხრეშის ფენა მოიხსნება და მოთავსდება შესაბამის კონტეინერში. საწვავით დაბინძურებული ხრეშიანი ფენის მართვა მოხდება სახიფათო ნარჩენების მართვის წესების სრული დაცვით.

2.5 საწარმოს მიერ გამოყენებული ნედლეული და ბუნებრივი რესურსები

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო წარმოების პროცესში გამოიყენებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არსებული, კომპანიის სარგებლობაში არსებული კარიერებიდან შემოტანილ ნედლეულს (ინერტულ მასალას). წლის განმავლობაში გადამუშავებული იქნება დაახლოებით 480 000მ³ ნედლეული, საიდანაც 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით მიღებული იქნება 432 000მ³ ქვიშისა და ღორღის სხვადასხვა ფრაქცია.

საწარმოს მიერ ტექნიკური წყლის აღება მოხდება მდ. იორიდან, რომელიც წლის განმავლობაში შეადგენს 30 380 მ³-ს.

საწარმო იმუშავებს ელექტროენერგიაზე. ამისათვის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება დენის ინდივიდუალური ტრანსფორმატორი.

ამასთან, საწარმო ავტოტექნიკის გამართვის მიზნით გამოიყენებს საწვავს, რომელიც წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 100 ტონას. საწვავის მოწოდებას განახორციელებს რეგიონში არსებული ლიცენზირებული კომპანია პერიოდულად.

2.6 საწარმოს მომარაგება საწვავით

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარი წარმოების პროცესში საწვავს არ მოიხმარს და იმუშავებს ელექტროენერგიაზე. თუმცა, კომპანიის ტექნიკის საწვავით გამართვის მიზნით, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია საწვავის გაცემის უბანი, რომელიც აღჭურვილია დახურულ კონტეინერში მოთავსებული შესაბამისი ავზით და 1 ცალი პისტოლეტით. საწვავის გასაცემი უბანი მოწყობილია შესაბამისი სტანდარტებით და საწვავის პერიოდულ მოწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზირებული კომპანია.

საწვავის ავზის მოცულობა შეადგენს 10 მ³-ს. როგორც უკვე აღინიშნა, საწვავის ავარიული დაღვრით გამოწვეული რისკების თავიდან აცილების მიზნით ავზი განთავსებულია მეტალის დახურულ კონტეინერში. საწარმოს ტექნიკის საწვავით გამართვის მიზნით წლის განმავლობაში საჭირო იქნება დაახლოებით 100 ტონა საწვავის გამოყენება. მისი ტერიტორიაზე შემოტანა განხორციელდება პერიოდულად, მოთხოვნის შესაბამისად. საწვავისთვის განკუთვნილი ავზი და ასევე გასაცემი წერტილი აღჭურვილია უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომლის შემდგომ მონიტორინგს განხორციელებს საწვავის მომწოდებელი ლიცენზირებული კომპანია.

ცხრილი 2.6.1.1 - საწვავის გასამართი ავზის განთავსების GPS კოორდინატები

N	X	Y
1	518686	4616728
2	518688	4616727
3	518690	4616729
4	518688	4616730

2.7 საწარმოს მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა

საწარმოს მოწყობა მოხდა დაახლოებით 1 თვის ვადაში, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ტერიტორიაზე ყველა ტექნოლოგიური დანადგარი და ასევე სხვა ინფრასტრუქტურული დროებითი ნაგებობა შემოვიდა მზა სახით, რომლის მოწყობაც დაკავშირებული არ იყო დიდ დროსთან. საწარმოს და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობის ეტაპზე დასაქმებული იყო 8 ადამიანი.

რაც შეეხება საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპს, საწარმოს მუშაობის რეჟიმი წელიწადში განისაზღვრება 300 დღიანი და დღეში 8 საათიანი (ერთცვლიანი) სამუშაო გრაფიკით.

კომპანია, წარმოების ეტაპზე გეგმავს 8 ადამიანის დასაქმებას, რომელთა დიდი წილი ადგილობრივი მოსახლეობიდან იქნება.

2.8 საწარმოსთან მისასვლელი გზები

საპროექტო ტერიტორიამდე, მიდის თბილისი-ბაკურციხის საავტომობილო ნაწილობრივ ასფალტირებული და ნაწილობრივ გრუნტიანი გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს.



სურ. 2.8.1 - საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზა

2.9 საწარმოს მიერ გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი, სატრანსპორტო რეისების რაოდენობა

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში, ნედლეულის შემოტანისა და გატანის მიზნით კომპანია აღჭურვილი იქნება შემდეგი ავტოსატრანპორტო საშუალებებით:

#	დასახელება	რაოდენობა
1	ფრონტალური დამტვირთველი SDLG	2 ცალი
2	თვითმცლელი HOWO	3 ცალი

საწარმოში დღის განმავლობაში დაგეგმილია დაახლოებით 50 რეისის განხორციელება ნედლეულის შემოსატანად, ხოლო 45 რეისის განხორციელება საწარმოდან პროდუქციის გასატანად.

საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად მოხმარდება რეგიონში მიმდინარე საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას.

საწარმოს ემიჯნება ლიცენზირებული პირველი უბანი და ნედლეულის შემოტანა განხორციელდება შიდა საკარიერო გზით, ხოლო მეორე უბნიდან ნედლეულის შემოტანა ასევე განხორციელდება შიდა საკარიერო გზით, რომელიც არ გადის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს.


საწარმოდან პროდუქციის გასატანად გამოყენებული იქნება წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის თავში მოცემული მისასვლელი გზა.

აღსანიშნავია, რომ ყველა გზა, რომელიც გამოყენებული იქნება, მაქსიმალურად არ იქნება დაკავშირებული დასახლებულ პუნქტთან. გარდა ამისა, ის გზები, რომელიც საჭირო იქნება პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის წინასწარ იქნება შეთანხმებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და საპატრულო პოლიციასთან.

გარდა ამისა, პრევენციული ღონისძიებები, რომელსაც კომპანია განახორციელებს ეს არის: სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილება, მისასვლელი გზების მუდმივი მორწყვა, განსაკუთრებით მშრალ ამინდში, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გადახურული ძარით და ასევე ღამის საათებში მოძრაობის შეზღუდვა.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს ზემოქმედების რისკებს და უბედური შემთხვევების ალბათობას.

სიტუაციური გეგმა




სურ. 2.9.1 - საპროექტო ტერიტორია ლიცენზირებული კარიერის უბნების და მასთან მისასვლელი გზების ჩვენებით

3. საწარმოს განთავსების ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა


3.1 დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელით დაცული საიტები

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია უახლოესი დაცული ტერიტორიიდან, კერძოდ კი მარიაშვილის ნაკრძალიდან დაშორებულია 12 კმ მანძილით. ხოლო ზურმუხტის ქსელით დაცული ტერიტორია გომბორი დაშორებულია 7 კილომეტრით.

სიტუაციური გეგმა



სურ. 3.1.1 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან დაცული ტერიტორიის დამორების მითითებით



სურ. 3.1.2 - სიტუაციური რუკა საწარმოო ტერიტორიიდან ზურმუხტის ქსელის დამორების მითითებით

3.2 არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების მუნიციპალიტეტი მდიდარია არქეოლოგიურ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. თუმცა, საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - ღვთისმშობლის ეკლესია დაშორებულია 5 კმ-ზე მეტი მანძილით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე www.memkvidreoba.gov.ge რეგისტრირებულია 7281 ნომრით.




სურ 3.2.1 - ღვთისმშობლის ეკლესია

3.3 ტყის ფონდის მიწები

საპროექტო ტერიტორია უახლოესი ტყის ფონდის მიწიდან დაშორებულია 705 მ მანძილით.

სიტუაციური გეგმა



სურ 3.3.1 - საპროექტო ტერიტორია ტყის ფონდის მიწის დამორებით

3.4 ბიოლოგიური გარემოს აღწერა

3.4.1 მცენარეული საფარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი საქართველოს ფიტოგეოგრაფიული დაყოფის სქემის (გაგნიძე 1996) მიხედვით მიეკუთვნება: უძველესი ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამყაროს, სუბხმელთაშუა ზღვისპირეთის ოლქის, ამიერკავკასიის ან ივერიის პროვინცია, გარე კახეთის ფლორისტულ რაიონს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცენარეულობა მრავალფეროვანია, სტეპური და სტეპურ-ბუჩქნარი ხასიათისაა, რომელშიც გარეულია ტყის ელემენტები. ბუჩქნარებიდან ძირითადად ფორმაციებს ქმნის ძეძვი (*Paliurus spina-christi*) ჯაგრცხილასა (*Carpinus orientalis*) და შავჯაგასთან (*Rhamnus palasii*), კვრინჩხთან (*Prunus spinosa*), ბერყენებთან (*Pyrus salicifolia*) ერთად, ტყის ძირითადი შემქმნელი სახეობებია ქართული მუხა (*Quercus petraea* subsp. *iberica*), კავკასიური რცხილა (*Carpinus betulus*), რომელთაც შიგადაშიგ ერევათ ჩვეულებრივი ნუში (*Amygdalus communis*), ქართული ნუში (*Amygdalus georgica*), მინდვრის თელა (*Ulmus minor*), აკაკი (*Celtis caucasica*), საკმლის ხე (*Pistacia mutica*) და სხვა. ტყის შემქმნელი ძირითადი ფორმაციებია მუხნარები - ქართული მუხით (*Quercus petraea* subsp. *iberica*) და მუხნარ-რცხილნარები - ქართული მუხითა (*Quercus petraea* subsp. *iberica*) და კავკასიური რცხილით (*Carpinus betulus*) და სხვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტიპურ მცენარეულობად შეიძლება ჩაითვალოს ვაციწვერიანი, ნაირმარცვლოვანი და ნაირბალახოვანი ველები. ვაციწვერიანი ველების ძირითადი შემქმნელია *Stipa tirsia* Stev.[=*S. stenophylla* Czern] და *Stipa pennata* L. [=*S. joanis* Celak]. ვაციწვერია ნაირბალახოვან ველებს უმთავრესად ქმნის *Stipa tirsia* Stev., და სხვა. მარცვლოვნებიდან უნდა აღინიშნოს *Bothriochloa ischaemum* (L.) Keng [=*Andropogon ischaemum* L.], *Festuca sulcata* (Hack.) Nym. p.p. [=*F. valesiaca* Gaudin; *F. rupicola* Heuff.], *Koeleria cristata* (L.) Pers. [=*Aira cristata* L.; *Koeleria gracilis* Pers.; *K. macrantha* (Ledeb.) Schult.], ნაირბალახოვანებიდან კი *Medicago polychroa* Grossh. [=*M. glutinosa* Bieb. subsp. *polychroa* (Grossh.) Sinsk.], *Galium verum* L. და სხვა.

რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო ტერიტორიას, საწარმოს მოწყობამდე მოხდა მისი დათვალიერება. ვინაიდან, ტერიტორია მდებარეობს მდ. იორის მიმდებარედ, ძირითადად წარმოდგენილი იყო ქვიშა-ხრეშიანი ზედაპირით. შესაბამისად, საწარმოს მოწყობის პროცესში, მცენარეული საფარის გარემოდან ამოღებას ადგილი არ ქონია.

3.4.2 ცხოველთა სამყარო

საპროექტო ტერიტორიის სიმცირის გამო, სავლელ კვლევის დროს საჭირო არ გამხდარა კონკრეტული კვლევის მეთოდის შერჩევა. მისი სიმცირის და შედარებით მარტივი რელიეფის გამო შესაძლებელი იყო მთელი ტერიტორიის ათვისება. ვეძებდით უშუალოდ სახეობებს და მათი ცხოველქმედების ნიშნებს. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებს, რომლებიც შეტანილია „გლობალურად საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ნუსხასა“ და საქართველოს წითელ ნუსხაში. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იქნა საკვლევ ცხოველებისთვის ხელსაყრელი დრო და კლიმატური პირობები (მზიანი და უქარო ამინდი).

ძუძუმწოვრების კვლევა მოიცავდა: მათთან უშუალო შეხვედრიანობას, ნაკვალევზე დაკვირვებას, ექსკრემენტების ნახვას, ასევე სოროების და ფულუროების აღმოჩენას.

- **ქვეწარმავლების და ამფიბიების** კვლევა მოიცავდა: მათთან უშუალო შეხვედრიანობას და მათთვის ხელსაყრელი ჰაბიტატების დათვალიერებას;
- **უხერხემლო ცხოველების სავლელ კვლევა:** შედარებით დიდი ზომის (პეპლები, ხოჭოები, ნემსიყლაპიები, ფუტკრისნაირები, კალიები, ობობები, მოლუსკები) უხერხემლო ცხოველების აღრიცხვა ხდებოდა ვიზუალურად, ხოლო დანარჩენის ძებნა ქვების, მორების ქვეშ და ნიადაგის საფარის გადაბრუნებით გრძელდებოდა;
- **ფრინველების** - სახეობრივი აღრიცხვა ხდებოდა მზიან და უქარო ამინდში. სახეობების ამოსაცნობად გამოიყენებოდა ბინოკლი. ასევე მოხდა ხმით იდენტიფიცირება.

საპროექტო ტერიტორიის მუნიციპალიტეტი მდიდარია ფაუნის სახეობებით, თუმცა კვლევისას საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველქმედების ნიშნები, საბინადრო ადგილები ან/და ექსკრემენტები აღმოჩენილი არ ყოფილა.

3.5 ნიადაგის ნაყოფიერი ფენა

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილი იყო ქვიშა-ხრემიანი ზედაპირით, რაც განპირობებულია მდინარის სიახლოვის გავლენით. ვიზუალური შეფასებით ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, პროექტის განხორციელება დაკავშირებული არ იყო ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებასთან.

4. პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეულ კომპონენტზე

4.1 ზემოქმედების შეფასება დაცულ ტერიტორიებზე და ზურმუხტის ქსელით დაცულ საიტებზე

როგორც უკვე აღინიშნა, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია უახლოესი დაცული ტერიტორიიდან, მარიამჯვრის ნაკრძალიდან, დაშორებულია საკმაოდ დიდი, 12 კმ მანძილით. ხოლო ზურმუხტის ქსელით დაცული საიტი გომბორი, 7 კმ მანძილით. ამასთან, საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში, დაცული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გზების გამოყენება სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით დაცულ ტერიტორიებზე ან/და ზურმუხტის ქსელით დაცულ საიტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.2 ზემოქმედების შეფასება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

წინამდებარე დოკუმენტის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერის თავში, მოცემულია ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაშორების მანძილის შესახებ. როგორც აღნიშნული თავიდან ჩანს საწარმოს ტერიტორიასთან უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - ღვთისმშობლის ეკლესია დაშორებულია 5 კილომეტრი მანძილით.

აღნიშნული დაშორების გამო, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადგილი არ ექნება სატრანსპორტო საშუალებების ძეგლის მიმდებარედ გადაადგილებას, პროექტის განხორციელებით მათზე რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.3 ზემოქმედების შეფასება ტყის ფონდის მიწებზე

საპროექტო ტერიტორია ტყის ფონდის მიწებიდან, 705 მეტრით არის დაშორებული. შესაბამისად, საწარმოს ექსპლოატაცია ტყის ფონდის მიწებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის არ არის.

4.4 ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე

4.4.1 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე, საწარმოს მოწყობამდე ჩატარებული კვლევისას გამოიკვეთა, რომ ტერიტორია მცენარეული საფარისგან ტავისუფალი იყო. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება, მცენარეულ საფარზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

4.4.2 ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე

როგორც დოკუმენტის შესაბამის თავში აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევისას მნიშვნელოვანი ჰაბიტატები გამოკვეთილი არ ყოფილა, ამასთან ტერიტორიაზე ვერ იქნა ნანახი ცხოველთა

მუდმივი საბინადრო ადგილები, რადგან აქ ჰაბიტატის არარსებობის გამო არც არის ბუდობისთვის საჭირო პირობები. თუმცა, ამავე დოკუმენტში მოცემულია იმ ძირითადი სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა ტერიტორიაზე მოხვდნენ წლის სხვადასხვა სეზონზე, მათ შორის მიგრაციისას.

აქედან გამომდინარე, საწარმოს მოწყობის ეტაპზე, გათვალისწინებული იქნება რიგი შემარბილებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველთა სახეობების დაზიანება, საბუდარი ადგილების მოშლა და სხვა. ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად განიხილება ღამის საათებში განათების შეზღუდვა, ღამით ხმაურიანი სამუშაოების აკრძალვა და სხვა.

ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე ცხოველთა სახეობების მოხვედრის და მათი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ტერიტორია შემოიღობება. ამრიგად, დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების პირობებში, ცხოველთა სამყაროზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.5 გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის საკითხები

4.5.1 ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია ქვიშა-ღორღოვანი ზედაპირით, რაც განპირობებულია მდინარის სიახლოვის გავლენით და ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის.

შესაბამისად, პროექტის განხორციელება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

4.5.2 გრუნტის/ფუჭი ქანების წარმოქმნა და ზემოქმედების შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია წყლის სამარაგო ავზის, ჩამდინარე წყლების სალექარი და საასენიზაციო ორმოების მოწყობა, რომელიც დაკავშირებული იქნება მიწის სამუშაოებთან.

იქიდან გამომდინარე, რომ სალექარი ორმოს მოცულობა იქნება 1 410 მ³, წყლის სამარაგო ავზის მოცულობა იქნება 1 026მ³, ხოლო დაგეგმილი საასენიზაციო ორმოს მოცულობა იქნება 12 მ³, ჯამურად მოსალოდნელია 2 448 მ³ მოცულობის გრუნტის/ფუჭი ქანების წარმოქმნა ($1410\text{მ}^3+1026\text{მ}^3+12\text{მ}^3=2448\text{მ}^3$). აღნიშნული გრუნტი/ფუჭი ქანების დასაწყობება მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის ტერიტორიის პერიმეტრის შემოსაზღვრის მიზნით.

4.6 ნარჩენების მართვის საკითხები

4.6.1 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ადგილო ქონდა ძირითადად საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას, რომლის მართვაც განხორციელდა ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

ამასთან, ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოს მოწყობის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც ძირითადად დასაქმებულების კვების ნარჩენების სახით იქნება წარმოდგენილი. მისი განთავსება მოხდება სპეციალურ კონტეინერებში, რომლის ტერიტორიიდან გატანას განახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური.

რაც შეეხება, სალექარის, წყლის სამარაგო ავზისა და საასენიზაციო ორმოს მოწყობის პროცესში წარმოქმნილ გრუნტს/ფუჭ ქანებს, მისი დასაწყობება მოხდება საპროექტო მიწის ნაკვეთის პერიმეტრზე.

ამასთან, ვინაიდან ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა, შესაძლებელია ადგილი ქონდეს მცირე რაოდენობით ისეთი სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, როგორცაა საწვავით დასვრილი ხელთათმანები და ჩვრები. ამასთან, ავარიული დაღვრის შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიქმნას მცირე რაოდენობის საწვავით დაბინძურებული ხრეში. ასეთი ტიპის ქვიშის მართვა განხორციელდება სახიფათო ნარჩენებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამრიგად, საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე, ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენების შეგროვება განხორციელდება ასევე ერთმანეთისგან სეპარირებულად და მისი გატანა განხორციელდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ, მათთან წინასწარ გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ საწარმოს ფუნქციონირებისას ადგილი ექნება ჩამდინარე წყლების სალექარში დაგროვილი ლამის წარმოქმნას. აღნიშნული ლამი შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის დასაწყობების უბანზე, საიდანაც პერიოდულად მოხდება მისი რეალიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული ლამი არ კვალიფიცირდება როგორც ნარჩენი. დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების, რაოდენობის და მისი მართვის შესახებ მოცემულია ნარჩენების მართვის გეგმაში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოს როგორც მოწყობის, ისე ექსპლოატაციის ეტაპზე მოსალოდნელი მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის გამო, საწარმოს საქმიანობა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებას არ საჭიროებს.

4.6.2 ნარჩენების მართვის გეგმა

აღწერილობითი ნაწილი

№	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო დიას/არა	სახიფათობის მახასიათებელი	წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა	განზ. ერთეული
1	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	1200	კმ
2	15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები	დიახ	H 6	20	კმ
3	13 07 01*	საწვავი ზეთი და დიზელი (დაბინძურებული ქვიშა)	დიახ	H 6	50	ლ

დასკვნითი ნაწილი

საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულია ნარჩენების პრევენციის და აღდგენის შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ნებისმიერი სახის საწარმოო მასალა, ნივთები ან ნივთიერება ობიექტების ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების სრულყოფილად წარმართვისათვის. ტერიტორიებზე მასალების ხანგრძლივი დროით დასაწყობება არ მოხდება;
- წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებული იქნება ხელმეორედ (მაგ. საზეთ-საპოხი მასალები).

4.6.3 სეპარირების მეთოდის აღწერა

სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევება

საწარმოს ტერიტორიაზე მოხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთისგან განცალკევებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია შემდეგი პროცედურები:

- ობიექტის ტერიტორიაზე მოხდება ერთმანეთისგან განსხვავებული კონტეინერების დადგმა, რომელიც იქნება შესაბამისად მარკირებული და ჰერმეტიკულად დახურული;
- ზოგიერთი მათგანი განკუთვნილი იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად; ზოგიერთი კი - ისეთი მყარი სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად, როგორიცაა: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩხრები და სხვა საწმენდი საშუალებები;
- ცალკე ჰერმეტიკული კონტეინერი განთავსდება თხევადი სახიფათო ნარჩენის შესაგროვებლად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები

წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნებისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობების დაცვა:

- სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის, ობიექტზე განთავსდება, სპეციალურად მარკირებული, ჰერმეტიკული კონტეინერები;
- კონტეინერები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან;
- ტერიტორიის კედლები და იატაკი, სადაც მოხდება კონტეინერების განთავსება მოპირკეთებული იქნება მყარი საფარით.

ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით

#	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	განთავსების/ ადგენის ოპერაციები	ვის გადაეცემა და რა მიზნით
1.	15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები	D10	გაუვნებელყოფის მიზნით გადაეცემა ნებართვის მქონე კომპანიას
2.	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	D1	განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე
3.	13 07 01*	საწვავი ზეთი და ღიზელი	R 1	გატანილი იქნება ადგენის მიზნით ნებართვის მქონე კომპანიის მიერ

4.6.4 სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების დონისძიებები

- პერსონალს, რომელსაც შეხება ექნება სახიფათო ნარჩენებთან ან/და დაკავებული იქნება ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის, გარემოს დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- საწარმოში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სპეც. ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებულ ოპერაციების შესრულების შემდეგ პერსონალის ტანსაცმელი დაექვემდებარება სპეციალურ დამუშავებას ან/და შეცვლას ახლით;
- საწარმოში დასაქმებული პერსონალი მუდმივად გაივლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სწავლებებს/ტრენინგებს;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ ექნება გავლილი შესაბამისი მომზადება, არ ექნება სპეცტანსაცმელი;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში დაუშვებელი იქნება უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა;
- ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილებში, ასევე საწვავგასამართი სვეტის/ავზის ტერიტორიაზე სასტიკად აიკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა.

4.7 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება

ხმაური არის სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელი ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია განსაზღვრული სიხშირე ან სპექტრი, რომელიც გამოისახება ჰერცებში და ბგერითი წნევის დონის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის ის სიხშირეები, რომლებიც იცვლებიან 16-დან 20000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

- პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.
- მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღეღამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომისუნარიანობის დაწევას 10-30%-ით.
- ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტეინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ხმაურის დონის ნორმები რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №398).

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს აკუსტიკური ხმაურის დასაშვებ ნორმებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

- დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე;
- საავიაციო, სარკინიგზო (მათ შორის, მეტროპოლიტენის), საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე;
- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული ადამიანის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ დონისძიებებზე;
- დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და

სპორტის საჯარო ღონისძიებებზე;

- საღმრთო მსახურების ჩატარებაზე, სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დროს განხორციელებულ აქტივობებზე.

ტექნიკური მოთხოვნები

1. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე (ხმაურის დონის ექსპერტული შეფასება), ნორმირებადი პარამეტრია ხმაურმზომის A სკალით გაზომილი ბგერის დონე LA_{დბA} მუდმივი ხმაურის, ხოლო ბგერის ეკვივალენტური დონე LA_{ეკვდბA} – არამუდმივი (ცვლადი) ხმაურის შემთხვევაში;
2. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის.

ხმაურის მაჩვენებლები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე

1. აკუსტიკური ხმაურის დონის გაზომვის შედეგების ჰიგიენური შეფასება (სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა) ტარდება ამ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ISO 1996-1: 2003. “აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება, გაზომვა და შეფასება“, ნაწილი 1. „შეფასების ძირითადი სიდიდეები და პროცედურები“; ISO 1996-2: 2007“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება და გაზომვა“, ნაწილი 2);
2. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, განსაზღვრონ სპეციალური ზონები (მაგ.: ტურისტულად აქტიური ზონები და გასართობი ზონები, სადაც განთავსებულია რესტორნები, კაფეები, ბარები, ღამის კლუბები და ა.შ.), რომელთა მიმართ შეუძლიათ დააწესონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისაგან განსხვავებული რეჟიმი.
3. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ორგანო.
4. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე პასუხისმგებელია ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურის დონე აღემატება ცხრილში 1 დადგენილ ნორმებს.
5. თუ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე ფიქსირდება ან მოსალოდნელია ხმაურის მაჩვენებლები, რომლებიც აღემატება (მოსალოდნელია აღემატებოდეს) ცხრილში 1 მოცემულ მნიშვნელობებს, მაშინ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, რომელთა საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ხმაური, უნდა უზრუნველყონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული ხმაურის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება.

ცხრილი 4.7.1.1. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L _{დღე} (დბA)		L _{ღამე} (დბA)
		დღე	საღამო	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების (≤100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების (≥100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
- აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერების, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკის ღონისძიებები

- ხმაურის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებებია:

- ხმაურის წყაროში - საინჟინრო - ტექნიკური და ადმინისტრაციულ - ორგანიზაციული ღონისძიებები;
- ხმაურის გავრცელების გზაზე (ხმაურის წყაროდან ობიექტამდე) – ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო - აკუსტიკური მეთოდები;

გ) ხმაურისაგან დასაცავ ობიექტზე – შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო და ხმაურმშთანთქმელი თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და არქიტექტურულ-გეგმარებითი მეთოდები.

2. აკუსტიკური ხმაურის მავნე მოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვა ხორციელდება საინჟინრო-ტექნიკური, არქიტექტურულ-გეგმარებითი და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებით.
3. ხმაურის საწინააღმდეგო საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებებია: ბგერის იზოლაცია, შენობების აკუსტიკურად რაციონალური მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა, ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემებში ჩამხშობების გამოყენება, სათავსების აკუსტიკური დამუშავება, ხმაურის შემცირება ობიექტებზე სპეციალური ეკრანებითა და მწვანე ნარგავებით და ა.შ..
4. ხმაურის საწინააღმდეგო არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებებია: საცხოვრებელი განაშენიანებისგან ხმაურის წყაროს დაცილება, ხმაურის წყაროსა და საცხოვრებელ განაშენიანებას შორის ხმაურდამცავი ეკრანების განთავსება, საცხოვრებელი სახლების დაჯგუფების რაციონალური სქემის გამოყენება (ხმაურის წყაროსაგან დახურული ან ნახევრად დახურული შიდა სივრცის შექმნა) და ა.შ.
5. ხმაურისაგან დაცვის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებია, მაგალითად, ტრანსპორტის ხმაურიანი სახეების მაგისტრალებზე ღამის საათებში ექსპლოატაციის შეზღუდვა, ხმაურიანი რეაქტიული თვითმფრინავების (რომლებიც ქმნიან 80 დბA-ზე მეტ ხმაურს) უპირატესად დღისით ექსპლოატაცია.

ხმაურის გაზომვა, ანალიზი და სპექტრის რეგისტრაცია ხდება სპეციალური იარაღებით, როგორცაა: ხმაურმზომი და დამხმარე ხელსაწყოები (ხმაურის დონის თვითმწერი მაგნიტოფონი, ოსცილოგრაფი, სტატისტიკური გამანაწილებლების ანალიზატორი, დოზიმეტრი და სხვა).

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ლოგარითმული სკალა, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს (ბ). ის განისაზღვრება ფორმულით:

$$L_b = 10 \lg(I/I_0) \quad (1)$$

სადაც I – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

I_0 – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის $2 \cdot 10^{-5}$ პა.

რამდენიმე დანადგარის კომბინაციის ხმაურის ჯამური ($L_{\text{ჯამური}}$) დონე გამოითვლება ფორმულით (II-12-77 სამშენებლო წესებისა და ნორმები):

$$L_{\text{ჯამური}} = 10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_i}, \quad \text{დბA} \quad (2)$$

სადაც L_i - ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბA

n – ხმაურის წყაროების რიცხვია.

ხმაურის უახლოეს დასახლებულ პუნქტთან გავრცელება გამოითვლება ხმაურისგან დაცვის II-12-77 სამშენებლო წესებისა და ნორმების მიხედვით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \beta_a r / 1000 - 10 \lg \Omega \quad (3)$$

სადაც: L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონეა;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულობის ფაქტორია, რომელიც უგანზომილებო ერთეულია და, განისაზღვრება ცდის საშუალებით, ბგერის თანაბარი გამოსხივების წყაროსთვის მიიღება 1-ის ტოლად;

r – მანძილია ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე, მ;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხეა, რომელიც ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას არის 2π ;

β_a – ატმოსფეროში ბგერის მილევადობაა (დბ/კმ) და მისი მნიშვნელობები მოცემულია II-12-77 სამშენებლო წესებისა და ნორმების მე-6 ცხრილში და ტოლია:

ცხრილი 4.7.1.2 - ატმოსფეროში ხმაურის ჩახშობის სიდიდე

ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიდიდე, ჰც	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმის დახშობის სიდიდეები, დბ/კმ	0	0,7	1,5	3	6	12	24	48

**იმ შემთხვევაში, თუ ხმაურწარმომქმნელ წყაროსა და საანგარიშო წერტილს შორის მანძილი ნაკლებია ან ტოლია 50 მეტრისა, გაანგარიშებაში ბგერის მილევადობის კოეფიციენტი არ მონაწილეობს.*

4.7.1 ხმაურის გავრცელების მოდელირება

ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოში ძირითად ხმაურის წარმომქმნელ დანადგარებს წარმოადგენს სამსხვრევი დანადგარები. საპასპორტო მონაცემების მიხედვით, სამსხვრევი დანადგარის (სრული კომპლექსი ყველა დანადგარის გათვალისწინებით) ხმაურის დონე არ აღემატება 110 დეციბელს.

უარესი სცენარის შეფასების მიზნით, ხმაურის გავრცელების მოდელირება განხორციელდა ხმაურის დონის 110 დბA მნიშვნელობისთვის.

აღსანიშნავია, ასევე, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ანალოგიური პროფილის საწარმოები განთავსებული არ არის და შესაბამისად, ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 2400 მეტრით.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტს შორის არსებობს ქარსაცავი ზოლი, რაც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ვიზუალურად საწარმოო ტერიტორია არ ჩანს დასახლებული პუნქტიდან და ასევე, აღნიშნული ქარსაცავი ზოლი წარმოადგენს ბუნებრივ ეკრანს ტერიტორიიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის ემისიების გავრცელების თვალსაზრისით.

მე-3 ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ r – სხვადასხვა მანძილისთვის (100, 200, 300, 400, 500, 1000, 2400 მ), გაანგარიშდა ბგერითი სიმძლავრის დონეები არსებული ბუნებრივი გარემო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე (ცხრილი 4.7.1.3).

ცხრილი 4.7.1.3 - კალკულაციის შედეგები მე-3 ფორმულის მიხედვით არსებული გარემოებების გათვალისწინების გარეშე

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დბA-ში, ობიექტიდან r მანძლზე (მ)								
	50	100	150	200	250	300	500	1000	2400
63	53.02	47.00	43.48	40.98	39.04	37.46	33.02	27.00	19.40
125	52.99	46.93	43.37	40.84	38.87	37.25	32.67	26.30	17.72
250	52.95	46.85	43.25	40.68	38.67	37.01	32.27	25.50	15.80
500	52.87	46.70	43.03	40.38	38.29	36.56	31.52	24.00	12.20
1000	52.72	46.40	42.58	39.78	37.54	35.66	30.02	21.00	5.00
2000	52.42	45.80	41.68	38.58	36.04	33.86	27.02	0.00	0.00
4000	51.82	44.60	39.88	36.18	33.04	0.00	0.00	0.00	0.00
8000	50.62	42.20	36.28	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

როგორც ცნობილია, ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით.

კალკულაციის პარალელურად, ხმაურის გავრცელების მოდელირება განხორციელდა, ასევე, სპეციალური პროგრამული აპლიკაციის საშუალებით (<https://noisetools.net/barriercalculator>).

მოდელირება განხორციელდა რელიეფის ფაქტორის (**G**) გათვალისწინების გარეშე. ხმაურის გავრცელების მოდელირების შედეგი **რელიეფის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე**, შესაბამისობაშია ცხრილში მოყვანილ მაჩვენებლებთან.

ამრიგად, ხმაურის გავრცელების დონე საწარმოდან საცხოვრებელ სახლამდე, მნიშვნელოვნად დაბალია.

ამრიგად, მოდელირების მიღებული შედეგებით, საწარმოს ყველა დანადგარის ერთდროული ფუნქციონირების შედეგად, უახლოეს რეცეპტორთან დაცული იქნება კანონმდებლობით („საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №398) განსაზღვრული ზღვრულად დასაშვები ნორმა (34,9 დბA<35 დბA).

ხაზგასასმელია, რომ საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს დღე-ღამეში მაქსიმუმ 8 საათს (მხოლოდ

08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე ინტერვალი). შესაბამისად, ამ მიმართულებით განსაკუთრებული შერბილების ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის. მუდმივად გაკონტროლდება დანადგარ-მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

4.8 ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ზემოქმედების შეფასება

საწარმოს საქმიანობის შედეგად გამოიყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი. #4.8.1 ცხრილში წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები აღნიშნული მავნე ნივთიერებისთვის [5].

ცხრილი 4.8.1. - მავნე ნივთიერებათა მახასიათებლები

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
2909	არაორგანული მტვერი SiO ₂ <20 %	0,5	0,15	3

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო ტერიტორიის მნიშვნელოვნად დიდი მანძილით 2400 მეტრით არის დაშორებული საცხოვრებელი სახლიდან. ამასთან, საწარმოო ტერიტორიასთან 500 მეტრიან რადიუსში არ მდებარეობს მსგავსი ტიპის საწარმოები. აღნიშნული გარემოებებისა და იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საწარმოში ნედლეულის გადამუშავება დაგეგმილია სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გაფრქვევის ინტენსივობას, საწარმოს მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში უმნიშვნელოა.

4.9 ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე

საწარმოს ტერიტორიიდან მდ. იორი დაშორებულია 80 მ მანძილით. ამასთან, გამოყენებული წყლის მდინარეში ჩაშვება გათვალისწინებული არ არის.

შესაბამისად, საწარმოს საქმიანობის შედეგად, ნეგატიური ზემოქმედება მდინარის წყლის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება მიწისქვეშა წყლების დაბინძურების საკითხს, როგორც წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის თავში აღინიშნა, ტერიტორიის სრული პერიმეტრი მოიხრეშება, საწვავის გამართვის უბანი მობეტონდება, ხოლო საწვავის ავზი განთავსებულია დახურულ კონტეინერში. შესაბამისად, ტერიტორიაზე წვიმის სახით მოსული სანიაღვრე წყლები არ იქნება დაბინძურებული. აქედან გამომდინარე, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

5. დანართები

5.1 დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24049934, 18/04/2024 15:43:17

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ავანგარდი
სამართლებრივი ფორმა:	შემღებელი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	443870599
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/05/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვიული შარტავას ქეჩა, N 16, ბინა 22

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი
ემზარ ასპანიძე, 01024016248

კაპიტალი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ემზარ ასპანიძე, 01024016248		100%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

5.2 დანართი 2 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მიწის (უძნეო ქონება) საკადასტრო კოდი: N 55.14.53.000.125

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024232732 - 26/02/2024 11:10:16

მომზადების თარიღი
08/04/2024 17:27:06

საკუთრების განყოფილება

მონა საგარევეო	სექტორი პატარბეული	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსტებელი ფართობი: 10601.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
55	14	53	000/125	

მისამართი: საგარევეო, სოფელი პატარბეული

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882024232732 , თარიღი 26/02/2024 11:10:16
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/04/2024

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება N73473 , დამოწმების თარიღი:02/04/2024 ,სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"
- ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი16/08/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "აენგარდი", ID ნომერი:443870599

მესაკუთრე:

შპს "აენგარდი"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024126455 თარიღი 05/02/2024 17:19:18	იპოთეკარი: საბაქო საზოგადოება "გერბანკი"204546045; საგანი: მიწის ნაკვეთის ფართი 10601.00 კვ.მ.; იპოთეკის ხელშეკრულება N12.0773679.001/26, დამოწმების თარიღი05/02/2024, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
---	---

უფლების რეგისტრაცია: თარიღი
08/02/2024

საგადასახადო გირბენობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

-
- ფინიკური პარის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მფლობელი ნამეგობო შესისხლადის მფლობელის შემთხვევაში ფინიკური პარა ვალდებულია არაუგვიანეს საინფორმაციო თვის მომღვწიო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანიზაციის წარუდგინოს დეკლარაციო სამუქისხილო გადასახადის შესახებ და ასევე ვადით გადასახადის კუთხნილო სამუქისხილო გადასახადი.
 - საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წერილობით დოკუმენტაციას 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხარჯნილო მფლობელის სამუქისხილო გადასახადი გადახდის ვქვემდებარება საინფორმაციო წლის მომღვწიო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკური პარა ასევე ვადით წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ორგანიზაციის.
 - აღნიშნული ვალდებულების შექსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის, რაც იწვევს პასუქისმგებლობის საგადასახადო კოდექსის XI თავის მიხედვით.
 - დოკუმენტის ხარჯნილობის გადასინწება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერაიფორმულ სარეესტრაციო სამსახურში, აქტივობის ხარჯნილობა და სააგენტოს აგეორანიზებულ პარეზონის;
 - ამონაწერში გვენიკური ხარჯნილობის აღნიშვნის შემთხვევაში დავუკავშირდით: 2 405405 ან პარადელ შეიქსიო განიქხილო ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია აქტივობის ხარჯნილობის ცხელ ხარჯნილო 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრადან უკანონო ქველების შემთხვევაში დავუკავშირდით ცხელ ხარჯნილო 2 405405
 - თქვენიქის საინფორმაციო ნებისმიერ საკომხის დოკუმენტით მოგვეწერიო ველ-ფოსტით: info@napr.gov.ge

5.3 დანართი 3 - ლიცენზიის ასლი



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო სამართლის იურიდიული პირი
წილის პროვინული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002711

2022 წლის 2-ე ივნისის „18“ „თბილისი“
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „აგნაგარდი“-ს, ს/ნ 443 870 599;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ გენერალური რესურსების პროვინული სააგენტოს უწყისის 2022 წლის 18 თებერვლის №217/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:
საგარეოს მენეჯერების, სოფ. კატარაქის მიმდებარე ტერიტორიაზე,
გლ. იორგა, „სართილის (ორი)“ კვიშა-ხრების საბაღო;
K-38-79-B-რ K-38-79-რ-ს ნომერის ტერიტორია (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მიწაქვეშის ფართობი - I უბანი ფართობით - 143 070 კვ. მეტრი;
II უბანი ფართობით 70 140 კვ. მეტრი;

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

ქვიშა-ხრეშის ჯამური მონაცვება (ორივე უბანზე ერთად) - 639 630 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____

განსაზღვრულია სსიპ შიდაგარეული რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის
2022 წლის 18 თებერვლის №217/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 5 წელი, 18.02.2022 დან 19.02.2027 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი



(ხელმოწერა)


გვეყანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)

ზ.ა

დამკვეთი: სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ტექნო“
სეს-ს რეგისტრაციის № 24-5288



კ-38-79-ბ-რ კ-38-79-გ-ფ
 რაიონული მნიშვნელობის
 ტერიტორიული ერთეულის ნაკვეთი



შენიშვნა: ეს ნაკვეთი შედგება 11 ნაკვეთისაგან, რომლებიც აღნიშნულია რუკის დასახლებული ნაკვეთების ნომერებით. ნაკვეთების საზღვრების დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ ამ ნაკვეთების საზღვრების დასაბუთების შემთხვევაში.

I უბანი		
№	X	Y
1	518541.2404	4616538.1122
2	518369.3550	4616604.3464
3	51817.0000	4616632.0000
4	519004.0000	4616325.0000
5	518869.0000	4616293.0000
6	518633.0000	4616360.0000
7	518432.0000	4616274.0000
8	518319.0000	4616384.0000
9	518216.0000	4616512.0000
10	518233.0682	4616522.5388
11	518512.2442	4616423.5408
S= 143070 მ ²		

II უბანი		
№	X	Y
1	521206	4616475
2	521100	4616384
3	520834	4616309
4	520797	4616495
5	521146	4616597
S= 70140 მ ²		
WGS 1984		